



N 21/1932
21/03/2023

1932-21-2-202303211339



შპს „ასკისწყალს“

მის: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. N12ა, კორპ. 1, ბ. 19

ელ-ფოსტა: chkhikvadze@dmn.ge

სსიპ ბარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 13 მარტის N1976 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდ. ასკისწყალზე 5,3 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ასკისწყალი ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ჰესის მიერ მდინარიდან ასაღები წყლის რაოდენობა და ჰიდროაგრეგატის მაქსიმალური ხარჯი. N3 ცხრილის მიხედვით, საპროექტო ტურბინის მაქსიმალური ხარჯი იქნება 2,53 მ³/წმ, ხოლო N1 სურათზე მითითებულია - 2,15 მ³/წმ. ამასთან, N20 ცხრილის მიხედვით, ჰესის მიერ აპრილის (3,7 მ³/წმ) და მაისის (4,23 მ³/წმ) თვეებში ასაღები წყლის რაოდენობები აღემატება ჰიდროაგრეგატის მაქსიმალურ ხარჯს;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ჰესის სათავე ნაგებობასთან ნორმალური შეტბორვის პირობებში დაგუბებული წყლის სარკის ზედაპირის ფართობისა და ნორმალური შეტბორვის ნიშნულის შესახებ. ამასთან, ნორმალური შეტბორვის კონტური ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში და სქემატურ ნახაზზე;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საპროექტო ეგზ-ის პარამეტრების შესახებ, თუმცა ეგზ-ის დერეფანი არ არის ასახული shp ფაილებში და სქემატურ ნახაზზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშში, ალტერნატივების დასაბუთების ნაწილში მითითებულია, რომ „სადაწნეო მილსადენი არ გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებით“. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/დასაბუთებას;
- სკოპინგის ანგარიში მოიცავს ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას სადაწნეო მილსადენის სიგრძესთან დაკავშირებით, კერძოდ: სურათი N3-ზე (ჰესის ნაგებობების განთავსების სიტუაციური სქემა N2) მითითებულია, რომ მილსადენის სიგრძეა 7 კმ, N7 ცხრილში - 6902 მ, N1 სურათზე და გვ. 12-ზე - 6 კმ. ამასთან, წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, საპროექტო სადაწნეო მილსადენის სიგრძეა დაახლოებით 6950 მ;
- დაზუსტებას საჭიროებს სადაწნეო მილსადენის დიამეტრი, კერძოდ: N7 ცხრილის მიხედვით, სადაწნეო მილსადენის დიამეტრია 1000 მმ, ხოლო სურათი N1-ზე მითითებულია 1-1,2 მ;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს 7 კმ სიგრძის მისასვლელი გზების მოწყობას. წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საპროექტო გზის დერეფნის შესახებ, ასევე გზის დერეფანი უნდა აისახოს სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებში;
- სკოპინგის ანგარიშში 4.3.2 ქვეთავში წარმოდგენილი GPS კოორდინატები არ არის UTM ფორმატში და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიში შეიცავს ტექნიკურ შეცდომებს, კერძოდ: გვ. 14, გვ. 15 და გვ. 46-ზე წარმოდგენილი ცხრილების სტრუქტურა დასალაგებელია და საჭიროებს კორექტირებას. დოკუმენტში მითითებულია, რომ „მდინარე ასკისწყლის სიგრძეა 6,8 კმ“. ამასთან, დასაზუსტებელია გვერდების ნუმერაცია და რაოდენობა.

სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების/მოთხოვნების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან გთხოვთ, განახლებულ სკოპინგის ანგარიშში უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა, შესაბამისი გვერდების მითითებით.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

